

საიდ. N77694/03

IR 744395

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №109-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ქ. კილაძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „სინთონ ჰოლდინგ ბ.ვ.“ (Synthon Holding B.V.)(მის: მიკროვეგ 22, NL-6545 CM ნიჯმეგენ, ნიდერლანდი; Microweg 22, NL-6545 CM NIJMEGEN, Netherlands) N109-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1569/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „SYNTHON“ (საიდ. N77694/03, IR 744395) დაცვის მინიჭება მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1569/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „SYNTHON“ მსგავსია კომპანიის „ბერლინ-ხემი აგ“ (Berlin-Chemie AG) (მის.: გლინიკერ ვეგ 125, 12489 ბერლინი, DE; Glienicker Weg 125, 12489 Berlin, DE) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა: „SITON“ (რეგ. N 24131, რეგ. თარიღი 2013-10-17) და „ЗИТОН“ (რეგ. N 24132, რეგ. თარიღი 2013-10-17). განცხადებულ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. ინგლისური ჩანაწერის შემთხვევაში მართალია მეორე ასოები განსხვავდება („I“ და „Y“), თუმცა ქართულად ორივე იკითხება როგორც „ი“ და კირილიცაზე შესრულებული ნიშნის შემთხვევაში, პირველი ასო „З“ ფონეტიკურად ძალიან ჰგავს ასოს „S“. განცხადებულ ნიშანში სიტყვის შუა ნაწილში დამატებით ასოების „N“, „H“ არსებობა ვერ ანიჭებს მას განსხვავებულ ჟღერადობას და გამოითქმის როგორც „სინთონ“. მსგავსებას აძლიერებს ისიც, რომ განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შედგებიან მხოლოდ სიტყვიერი ელემენტებისგან და არ აქვს სხვა ელემენტი, რომელიც მათ შესძენდა განმასხვავებლობას და შესაბამისად, შესაძლებლობას მისცემდა მომხმარებელს განესხვავებინა განმცხადებლის საქონელი სხვა სუბიექტის საქონლისგან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის

თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის „SYNTHON“ დაცვაზე უარის თქმის საფუძველს სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვის მინიჭებაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განკუთვნილია მე-5 კლასის იდენტური საქონლისათვის, ნიშნებს შორის არსებობს, როგორც ფონეტიკური, ისე ვიზუალური განსხვავება, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აპელანტის აზრით, ნიშნები განხვავდებიან ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება 7 ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება 5 ასოსაგან. განხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია მთავრული ლათინური ასოებით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ЗИТОН“ (რეგ.N 24132) შესრულებულია კირილიცაზე. რაც შეეხება ფონეტიკურ განსხვავებას, აპელანტის აზრით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ასოების „Y“ „N“ და „H“ განლაგება გაპირობებს განცხადებული სასაქონლო ნიშნის განსხვავებულ ჟღერადობას. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართულად გამოითქმის, როგორ „ზიტონ“, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც „სინთონ“ ან „საინთონ“.

გარდა ამისა, აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი და ორ კომპანიას შორის შეთანხმების დოკუმენტი (Prior Rights Agreement), საიდანაც დგინდება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების: „SITON“ (რეგ.N 24131) და „ЗИТОН“ (რეგ.N 24132) მფლობელი კომპანია „ბერლინ-ხემი აგ“ (Berlin-Chemie AG), თანახმაა კომპანიის „სინთონ ჰოლდინგ ბ.ვ.“ (Synthon Holding B.V.) განცხადებულ სასაქონლო

ნიშანს „SYNTHON“ (საიდ. N77694/03, IR 744395) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1569/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „SYNTHON“ (საიდ. N77694/03, IR 744395) დაცვის მინიჭებას მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №109-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „SYNTHON“ (საიდ. N77694/03, IR 744395) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები: „SITON“(რეგ.N 24131) და „ЗИТОН“ (რეგ.N 24132) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „SITON“ მსგავსად, შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული

შრიფტით. დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან მხოლოდ 3 ასოთი - „Y“, „I“ და „H“, რაც ნიშნებს ვერ სძენს საკმარის ვიზუალურ განსხვავებას. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „ЗИТОН“, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესრულებულია განსხვავებული შრიფტით, ნიშნებს შორის იმდენად დიდია ფონეტიკური მსგავსება, რომ აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერადობით აღრევამდე მსგავსია. განცხადებულ ნიშანში შემავალი ბგერა „H“ არ გამოითქმის და ქართველი მომხმარებლისათვის ნიშნები ჟღერს, როგორც „სინთონ“, „სითონ“ და „ზიტონ“.

მსგავსია, ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი - „ფარმაცევტული პრეპარატები“, რაც ზრდის ნიშნების აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „სინთონ ჰოლდინგ ბ.ვ.“ (Synthon Holding B.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №109-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 23 აპრილის N1569/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. კილაძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე